პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ნოემბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 228 (9389) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

აკაკი კიბორძალიძე

ქუთაისელი გოლიათი 1986 წლის სპორტული სეზონის შედეგებით უთუოდ კმაყოფილი იქნება. მან ხომ სამი მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოიგო: საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა, საბჭოთა კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონატი და თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. მათ შორის ყველაზე პრესტიჟული, რა თქმა უნდა, ხალხთა სპარტაკიადა იყო. აკაკი კიბორძალიძე სპარტაკიადაზე პირველად ამ სამი წლის წინ გამოვიდა, მაგრამ. მაშინ უმეტლოდ დარჩა. ამჯერად ქართველ ფალავანს ვერავინ გაუწია მეტოქეობა. თავად განსაჯეთ — სამი მოჭიდავის დასამარცხებლად მას მხოლოდ 7 წუთი დასჭირდა. კიბორძალიძე სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. მისი ჯილდო იყო მეოთხე ოქროს მედალი საქართველოს ნაკრების ყულაბაში.

ერთი საინტერესო დეტალი: კიბორძალიძე მძიმე წონაში რატომღაც იშვიათად იმარჯვებს, აბსოლუტურ კატეგორიაში კი, როგორც წესი, საპრიზო ადგილს მიღმა არ რჩება. ნოემბრის პირველ რიცხვებში, როგორც იცით, საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი ჩატარდა. ეს იყო ამ რანგის პირველი შეჯიბრება, რომელმაც, ცხადია, ძიუდოს მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ვინ გახდება საბჭოთა კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონი? აი, ამ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი მოსკოვში გამართულ ტურნირს. არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ძალოსნობის სასახლეში თავი მოიყარა ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესმა ძიუდოისტმა (არ იყვნენ მხოლოდ გრიგორი ვერიჩევი და ხაბილ ბიკტაშევი, რომლებიც ტოკიოში ძიგარო კანოს მემორიალზე გამოსასვლელად გაემგზავრნენ). ფავორიტთა შორის, რასაკვირველია, აკაკი კიბორძალიძესაც ასახელებდნენ. ჩვენმა ფალავანმა კვლავ გაამართლა გულშემატკივართა იმედები — დამაჯერებლად მოიგო წინასწარი შეხვედრები, ფინალში კი ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და სახელოვან მოჭიდავეს, კურსკელ ალექსანდრე შუროვს ეძლია. ძიუდოს მოყვარულებმა ნახეს შეჯიბრების ტელერეპორტაჟი. კიბორძალიძის უპირატესობა ფინალურ შეხვედრაშიც აშკარა იყო. შუროვი, რომელიც ერთთავად გაურბოდა ბრძოლას, მსაჯებმა პასიურობისთვის სარბიელიდან მოხსნეს, სტატისტიკოსის ბლოკნოტში ახალი ჩანაწერი გაჩნდა: მოსკოვი, 1986 წლის ნოემბერი, საბჭოთა კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონატი ძიუდოში. I ადგილი — აკაკი კიბორძალიძე (ქუთაისი, „დინამო").

ეს იყო სპორტული სეზონის ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება, სეზონის სტარტზე კი, როგორც აღვნიშნეთ, კიბორძალიძემ თბილისის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. რა თქმა უნდა, აბსოლუტურ კატეგორიაში!

საჭადრაკო ოლიმპიადა

ზედიზედ მეთერთმეტე...

ნონა გაფრინდაშვილი — 9-დან 9!

დიუბაიში (არაბთა გაერთიანებული საემიროები) — გამართულ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე XI ტურის შემდეგ სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები 29,5 ქულით III ადგილზეა. ამ ტურში ჩვენებმა დაამარცხეს ბულგარეთის გუნდი — 2,5:1,5.

კვლავ წინ არიან აშშ-ის ნაკრები (31 ქულა) და ინგლისის გუნდი (30,5). ამერიკელებმა მოუგეს (3:1) ესპანეთის გუნდს, ინგლისელებმა — რუმინეთის (3,5:0,5) მოჭადრაკეებს.

ქალთა ოლიმპიადაში ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატები, რომელთაც 26,5 ქულა აქვთ. XI ტურში მათ დაამარცხეს საბერძნეთის ნაკრები (3:0) და ზედიზედ მეთერთმეტე გამარჯვება მოიპოვეს. აი, გუნდის თითოეული წევრის შედეგები: მაია ჩიბურდანიძემ მოიპოვა 5 ქულა (6-დან), ელენა ახმილოვსკაიამ — 6 (8-დან), ნონა გაფრინდაშვილმა — 9 (9-დან), ნანა ალექსანდრიამ — 5,5 (8-დან).

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან უნგრეთის (22 ქულა), ჩინეთის, პოლონეთისა და რუმინეთის (თითოეულს 21,5 ქულა) მოჭადრაკეები.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

სწრაფვა წარმატებისკენ

თბილისი, ჰადრაკის სასახლე. ვ. გოგლიძის VII მემორიალის მონაწილეებმა დაამთავრეს გადადებული პარტიები. უბილავამ მოუგო ზაიჩიკს, არხიპოვი დანებდა კაიდანოვს, ცვიტანმა დაამარცხა ფოშორი და ყაიმზე შეუთანხმდა რომანიშინს და მაკდონალდს.

9 ტურის შემდეგ ხატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობა იყო: მ. ტალი — 6,5 ქულა, ო. რომანიშინი, ზ. აზმაიფარაშვილი, ბ. კანცლერი — 6-6, ვ. მალანიუკი — 5,5, ე. უბილავა, გ. კაიდანოვი — 5-5, ო. ცვიტანი (იუგო-

იხ. მე-3 გვ.

ექსპრეს-ინფორმაცია

● საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გაიმართა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკური ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იყო ფეხბურთი და ჩოგბურთი. სხდომის შედეგები შეაჯამა შტაბის ხელმძღვანელმა, მინისტრის მოადგილემ გ. თალაკვაძემ. შტაბის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელი მუშაკები.

● თბილისის სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომამ იმსჯელა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაში დედაქალაქის სპორტსმენთა გამოსვლის შედეგების შესახებ.

● **დღეს თბილისში დამთავრდება ცხენოსანთა საქალაქთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს, ესტონეთისა და ლიტვის საცხენოსნო ცენტრების უძლიერესი ახალგაზრდა მხედრები მონაწილეობენ.**

„თოშიან წყალში გაღბანენ, ჯანი ექნება მრთელიო"



ნოემბრის დასაწყისში მოსკოვში ჩატარდა გაკაჟებისა და ზამთრის ცურვის მოყვარულთა მე-7 საკავშირო კონფერენცია. ცსკა-ს სპორტულ ბაზაზე ვატუტინკიში შეკრებილმა 300-მდე „ზღვის ლომმა", გაკაჟების ამ სახეობის საორგანიზაციო, მეთოდიკურ და სამედიცინო ასპექტებზე იმსჯელა. ჩვენს ქვეყანაში ზამთარში ცურვის მოყვარულთა რიცხვი თანდათან იზრდება და ამ სახეობის გავრცელების არეალიც თანდათან ფართოვდება — კონფერენციას ესწრებოდნენ ნორილსკელებიც და შუა აზიის ქალაქ ჩარჯოუს მკვიდრნიც. ჩვენი რესპუბლიკიდან ორი დელეგატი გაიგზავნა: სპორტკლუბ „ივერიას" თავმჯდომარე პეტრე მაჭავარიანი და ამ კლუბის ერთერთი წევრი ვლადიმერ სემიონოვი.

— თბილისელმა „ზღვის ლომებმა" ერთმანეთი თბილისის ზღვაზე ვიპოვეთ, — გვიამბობს პეტრე მაჭავარიანი. — ზღვასთან ახლოს მცხოვრებთაგან დილ-დილობით ნაპირზე სავარჯიშოდ ბევრნი ამოდიოდნენ. მათ შორის ვიყავით ისეთებიც, ვისაც წამლებით მკურნალობაზე გული გვჭონდა გამტყდარი და შერყეული ჯანმრთე-

იხ. მე-2 გვ.

სიახლეთა ესკალაცია

რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების დიდი ნაწილი ვერ ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დიდძალი სახელმწიფო ხარჯები არ იძლევა სასურველ უკუგებას. ამითაა გამოწვეული, რომ სპორტის მთელ რიგ სახეობებში საგრძნობლად ჩამოვრჩებით.

როგორ ავამაღლოთ სპორტსკოლების ეფექტიანობა? ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სპორტსკოლებში უხარისხო მუშაობა გაპირობებულია ცუდი სელექციით, უმეტეს სკოლებში კი ამ მოთხოვნას საერთოდ უგულებელყოფენ.

სამინისტრომ გადაწყვიტა: სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩატარდეს საკონკურსო შერჩევა საუკეთესო სპორტული მონაცემების მოზარდთა გამოსავლენად.

ეს ღონისძიება გუშინ მოკურავეთა შერჩევით დაიწყო.

„ლელო" ეწვია ნარმატებისკენ

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

ალმა-ათა. ამ ჯგუფში თამაშები შედარებით ადრე დაიწყო და გუნდებმა უკვე სამ-სამი შეხვედრა ჩაატარეს. ბრწყინვალედ გამოდის უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ადგილობრივი ასკ. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ არმიელებმა პირველ დღეს ვილნიუსის „სტატიბა" 25 ქულით დაამარცხეს (93:68). ალმა-ათის კალათბურთელებმა მეორე დღესაც იმარჯვეს: რიგის ვეფ-ი საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხეს — 111:97.

27 ნოემბერს ალმა-ათის ძსკ და „სტატიბა" ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ტაიმი სტუმრების უმნიშვნელო უპირატესობით აღინიშნა — 48:46, მაგრამ შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მკვეთრად შეიცვალა. ალმაათელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ამ ტურში ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს — 99:90.

ცსკა-მ პირველ დღეს ვეფ-თან დამარცხების შემდეგ ორი შეხვედრა მოიგო. მან ჯერ ვილნიუსის „სტატიბას" აჯობა (102:83), მერე კი რიგის ვეფ-თანაც რევანში აიღო — 116:114.

ლენინგრადი. თბილისის დინამოელებს ამ ტურში ადგილობრივ „სპარტაკთან" და კიევის არმიელებთან ორ-ორჯერ მოუწევთ თამაში. პირველმა წრემ ჩვენს კალათბურთელებს ვერაფერი სანუგეშო ვერ მოუტანა. ადგილობრივ „სპარტაკთან" შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, პირველსავე ტაიმში გადაწყდა. ნევისპირელები შესვენებაზე 16 ქულიანი უპირატესობით წავიდნენ (56:40). მდგომარეობა არც მეორე ტაიმში გამოკეთებულა. „სპარტაკი" შეხვედრის ბოლომდე ფლობდა ინიციატივას და გაიმარჯვა — 108:76.

გაცილებით უფრო დაძაბული აღმოჩნდა დინამოელთა მატჩი კიევის ასკ-თან. პირველ ნახევარში ინიციატივას ქართველი კალათბურთელები ფლობდნენ — 42:36. შესვენების შემდეგაც ბრძოლა დაძაბული იყო და მხოლოდ შეხვედრის მიწურულში გამოიკვეთა არმიელთა ორქულიანი უპირატესობა — 85:83.

მოსკოვის „დინამომ" პირველ დღეს კიევის არმიელთა კოლექტივი დაამარცხა — 91:82 (41:38). პრინციპულ ხასიათს ატარებდა დინამოელთა მეორე მატჩი ლენინგრადის „სპარტაკთან". გამარჯვება ნევისპირელებს ხვდათ—94:87 (45:47).

მინსკი. ჯერჯერობით აქ მხოლოდ ორი შეხვედრა ჩატარდა და ერთი სენსაციური შედეგით აღინიშნა. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა დონეცკის „შახტიორმა" დაძაბულ ბრძოლაში კიევის „სტროიტელი" დაამარცხა—73:71 (42:38). ეს დონეცკის კალათბურთელთა მეხუთე გამარჯვებაა წლევანდელ ჩემპიონატში.

ადგილობრივი რტი ვერაფერს გახდა კაუნასის „ჟალგირისთან" და შეხვედრა 14 ქულით წააგო — 77:91 (39:49).

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ Ზ. ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ „ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲓᲘᲐᲮ, ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„მიწაზე დადებულ თამასას ფეხი წამოკრეს, ვერ გადახტნენ“, ვკითხულობთ პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ზურაბ ცუცქირიძის წერილში, რომელიც „ლელოს“ 30 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა. ამ წერილში ფიზიკურად მოუმზადებელ ბავშვებზეა საუბარი. მაგრამ, ცხადია, მთლად ასეც არ არის საქმე. თუ ერთნი ზერელედ ეკიდებიან ფიზიკურ ვარჯიშს, მეორენი გულმოდგინებას იჩენენ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყვანან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ცოდნის მინიმუმსაც არ აძლევენ ახალგაზრდებს, მეტიც: არც იციან, როგორ ჩაატარონ ფიზკულტურის გაკვეთილი.

ჩვენ გვყავს ჯგუფი, რომელზეც მეოთხე კლასიდან ვაწარმოებთ დაკვირვებას. ეს VII კლასი გახლავთ. პარალელური კლასის მოსწავლეებთან შედარებით ამ კლასის ბავშვები ფიზიკურად სუსტები იყვნენ, მაგრამ სისტემატიური მეცადინეობითა და ინდივიდუალური მიდგომით სასურველ შედეგს მივაღწიეთ. დღეს კლასში ვერ ნახავთ უმოძრაო, ტლანქ, მოუხერხავ, ფორმადაკარგულ ბავშვს, თანაც ყველა ხუთებზე სწავლობს. მათ იშვიათად, მხოლოდ გაკვეთილის ბოლოს, ისიც მოძრავი თამაშების დროს ვაძლევთ ბურთს. ამიტომ ხშირად წუწუნებენ, სხვები მთელი გაკვეთილი ბურთს თამაშობენ, ჩვენ კი იშვიათად გვათამაშებენ ბურთითო. მთავარია მკლავის და მუხლის ძალა მოგემატოთ, ბურთის თამაშისთვის ბევრი დრო გეკნებათ — ასეთია მასწავლებლის პასუხი. დიახ, მთავარია ფიზიკური მომზადება.

მე, როგორც გამოცდილი მასწავლებელი, თავს უფლებას ვაძლევ ჩემი შეხედულება და გამოცდილება გავუზიარო კოლეგებს. ამას დროის მოთხოვნა, დღევანდელი დღის საჭიროება მკარნახობს.

ბავშვის ფიზიკური მომზადება პირველი კლასიდან უნდა დაიწყოს. ამ ასაკში ყალიბდება მისი აღნაგობა, ამ ასაკში ეჩვევა იგი სისწრაფეს, უვითარდება ტანის მოქნილობა. ყველაფერი ეს ჩვევაში გადადის მეექვსე-მეშვიდე კლასში. თუ დაწყებით კლასში ბავშვს ფიზიკური მომზადება დავაკელით, ზემო კლასებში მის გაუხეშებულ ტანს მოქნილ მოძრაობას ვეღარ მივაგებებთ.

VII კლასამდე ფიზიკურად მომზადებული მოსწავლეები კარგად ფლობენ საკუთარ სხეულს — მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებებს კარგად, ხარისხიანად ასრულებენ.

ცუდი მდგომარეობაა დაწყებით კლასებში, რომლებშიც ფიზკულტურას ამ საქმის არასპეციალისტი, კლასის ხელმძღვანელი ასწავლის (თუმცა გვყავს ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც კეთილსინდისიერად ატარებენ ფიზკულტურის გაკვეთილებს). ბავშვები დარბაზში ვერ მეცადინეობენ, ინვენტარით ვერ სარგებლობენ, მასწავლებლები მათ ელემენტარულ ჩვევებს ვერ უმუშავებენ და ჩვენ მოუმზადებელ ბავშვებს გვაბარებენ. საქმის გამოსწორება ჩვენ, ფიზკულტურის მასწავლებლებს გვიხდება.

ზურაბ ცუცქირიძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა სპორტულ სექციებს არ ეტანება. მართლაც, ვლაპარაკობთ, ვწერთ, მაგრამ საქმით ცოტას ვაკეთებთ, გამოსავალს ვერ ვპოულობთ.

განა მოსათმენია ის, რომ ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტლის ბოლო კორპუსებში მცხოვრები ბავშვები მშენებლების მიერ მიტოვებულ ცამდე აზიდულ მიწაყრილზე თამაშობენ? ხელი რომ კრან ერთმანეთს, ორმოში ჩაცვივდებიან, ზაფხულობით კი ისინი ბურთის მაგივრად თაგვებს დასდევენ.

ამის შესახებ ბევრჯერ ითქვა, მაგრამ მარტო თქმა რას უშველის? ნუთუ, ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომს ასე გაუჭირდა „გორაკის“ მოსწორება და მის ადგილზე ბავშვებისათვის მარტივი ტიპის მოედნის მოწყობა? კორპუსების ეზოებში მანქანები დგას: სად ითამაშონ ბავშვებმა? სად არის გამოსავალი?

მეცნიერი პედაგოგი იმასაც აღნიშნავს, რომ „ბავშვს აქვს წაბაძვის საოცარი უნარი“. ამ ჭეშმარიტებას ვერსად გაექცევით. დიახ, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ არის მოზარდის მწვრთნელი და მასწავლებელი. გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩემს პატარა ბიჭუნას კალათბურთში სამი მწვრთნელი გამოუცვალე. რატომ? ერთი დარბაზში ბავშვებს ბურთს გაუგორებდა და თვითონ პირში პაპიროსგაბრილი, ჯიბეში ხელებჩაწყობილი, პიჯაკში გამოწყობილი დააბოტებდა, ასეთი მწვრთნელის რა იმედი უნდა მქონოდა? მეორეს, საღეჭი რეზინა ედო პირში და ასე ესაუბრებოდა აღსაზრდელებს. ასეთი მწვრთნელის შეგირდს გაუჭირდება ნამდვილი სპორტსმენი გახდეს. მისგან ვერც კარგი მოქალაქე დადგება. ამასთან დაკავშირებით თავიანთი სიტყვა უნდა თქვან პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა, როგორც მომავალი პედაგოგების სამჭედლო სასწავლებლებმა.

„ლელოს“ ფურცლებზე ფიზკულტურის მასწავლებლებს ვერ ვხვდებით, მათ ომახიან შეძახილებს კი დიდი ხანია ველოდებით.

ᲔᲗᲔᲠ ᲮᲐᲮᲣᲑᲘᲐ,
ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ, ᲮᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ, 150-Ე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1986 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲒᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ახლახან სტუდქალაქისა და „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედნებზე ჩატარდა რეგბისტთა 1986 წლის რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა. თბილისის თასის გათამაშების შედეგების მიხედვით შერჩეულ დედაქალაქის ოთხ საუკეთესო გუნდს (სამედიცინო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტები, უნივერსიტეტი, „სპარტაკი“) ქუთაისის, ზესტაფონის, ჰიათურისა და თელავის რეგბისტები დაემატნენ (შეგახსენებთ, რომ რესპუბლიკური პირველობის სარბიელზე საკავშირო ჩემპიონატში მოსასპარეზე კოლექტივები არ გამოდიან).

რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად გაიყო. პირველ ქვეჯგუფში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს თბილისის „სპარტაკმა“ და ჰიათურის „სამთოელმა“, მეორეში — ქუთაისის ნაკრებმა და სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა (ახლა ამ გუნდს სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“ შეფობს, ამიტომ მედიკოსებმა „ბურევესტნიკის“ სახელით იასპარეზეს), ასე რომ, მედლებისთვის ბრძოლა სწორედ ამ ოთხეულმა გაიგრძო.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები — „სპარტაკი“ და ქუთაისის ნაკრები. ავდრისაგან ატალახებულ მოედანზე საკმაოდ დაძაბული ბრძოლა გაიმართა. გაიმარჯვეს უფრო გამოცდილმა ქუთაისელებმა — 12:10. მათი გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან გუნდში (უფროსი მწვრთნელი — რამაზ სვანაძე) გამოცდილი სპორტსმენებიც ჰყავდათ და მონდომებული ახალგაზრდებიც, **რესპუბლიკური ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასვლა უდავოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს სპარტაკელთა ახლადჩამოყალიბებული გუნდის ჭაბუკი, პერსპექტიული მოთამაშეებისთვის.** მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში „ბურევესტნიკმა“ ანგარიშით 10:4 დაამარცხა „სამთოელი“. ზოოვეტერინარული ინსტიტუტის რეგბისტებმა მოუგეს უნივერსიტეტელებს (13:12) და მეხუთე ადგილი დაიკავეს. შეჯიბრების დებიუტანტების — ზესტაფონისა და თელავის გუნდების შეხვედრაში თელაველებმა იმარჯვეს — 16:13. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: ქუთაისის ნაკრები, „სპარტაკი“, „ბურევესტნიკი“, „სამთოელი“, ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, თელავი, ზესტაფონი.

აღსანიშნავია, რომ **სპორტსაზოგადოება „სპარტაკს“ მიჰბაძა „ბურევესტნიკმაც“ — ამ საზოგადოების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეფობა გაუწიოს სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს.** კარგი იქნება, თუ სხვა სპორტსაზოგადოებებიც „შეიკედლებენ“ რეგბისტთა გუნდებს.

ჰიათურელმა რეგბისტებმა ყურადღება მიიქციეს აზარტული, მონდომებული თამაშით, თუმცა გუნდს ამჯერად აკლია პრაქტიკა. წელს, მაგალითად, ჰიათურელებმა მხოლოდ რესპუბლიკის ჩემპიონატში ითამაშეს, ოთხად ოთხი შეხვედრა გამართეს და სეზონი ამით დაამთავრეს.

გაგვახარა თელაველთა და ზესტაფონელთა დებიუტმა. კარგა ხანია თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი წევრი **ალექსანდრე ცისკარიშვილი თელავში ნორჩ რეგბისტებს ამეცადინებს.** წელს მან პირველად გამოიყვანა თავისი შეგირდები მოზრდილთა შეჯიბრებაში. **ზესტაფონელთა გამოსვლა კი ნამდვილი სიურპრიზი იყო, რაც უდავოდ არჩილ ჭიაბრიშვილის დამსახურებაა.** ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კოლექტივში აღზრდილმა სპორტსმენმა ერთი წელია ზესტაფონში რეგბისტთა გუნდი ჩამოაყალიბა და აი, ახალბედებმა უკვე სცადეს ძალა დიდ სარბიელზე.

ვფიქრობდით, რომ ჩემპიონატში ჩობატაურელი და ზუგდიდელი რეგბისტებიც ჩაებმებოდნენ, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, თბილისში არ ჩამოსულან. ამ რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებმა უნდა გვაცნობონ, რამ შეუშალა ხელი მათი რეგბისტების რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობას. უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის კათედრების ხელმძღვანელებსაც გვინდა ვკითხოთ, რატომ არ ჰყოფნიდათ მათ წარმომადგენლებს მაისურები (პოლიტექნიკოსების „ხელმოკლეობამ“ თბილისის თასის გათამაშებაში, ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მიიქცია ყურადღება).

ჩემპიონატის მატჩებში ბევრმა სპორტსმენმა გამოიჩინა თავი. მათ შორის გამოვარჩევთ დავით ჩავლეიშვილს, გოჩა სვანიძეს („ბურევესტნიკი“), ემზარ გეგუჩაძეს (ქუთაისი), ხვიჩა მესხს, ზურაბ საცერაძეს („სამთოელი“), ვანო ბახტაძეს (ზოოვეტერინარული ინსტიტუტი).

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება გაისად საქართველოს ჩემპიონატი ტურებად ჩატარდეს და აი, რატომ: იმ გუნდებს, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატებში არ მონაწილეობენ, რესპუბლიკური პირველობის გარდა სხვა ასპარეზი არა აქვთ, აქ კი მხოლოდ რამდენიმე მატჩში თუ უხდებათ თამაში, ასე რომ, მთელი წელწადი უქმად ცდებიან და, ფაქტიურად, ერთ ადგილს ტკეპნიან. ეს, პირველ ყოვლისა, რაიონის გუნდებზე ითქმის. რა გასაკვირია, რომ მათი ოსტატობა ნელა იხვეწება, თამაშში ბევრი ხარვეზი შეინიშნება.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა რეგბისტთა ასპარეზობის პირობებზე. ამ საკითხზე არაერთხელ დაწერილა, მაგრამ **დღემდე არაფერი შეცვლილა. არც ტუდქალაქისა და არც „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედნებზე რეგბისტებს შხაპის გადავლების საშუალება არ ჰქონდათ.** ისინი უკვე მიეჩვივნენ უყურადღებობას, რა ქნან, სხვა გამოსავალი არა აქვთ, მაგრამ მაინც გვინდა ვიკითხოთ: როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲑᲐᲠᲒᲘᲐᲫᲔ.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

შესარჩევი ტურნირი თბილისის გუნდებისთვის. „ა“ ქვეჯგუფი. 1. „სპარტაკი“: უნივერსიტეტთან — 13:20, სამხატვრო აკადემიასთან 19:4, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან 6:6; 3 ქულა (ბურთების სხვაობა +8). 2. უნივერსიტეტი: სამხატვრო აკადემიასთან 9:9, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან 14:16; 3 ქულა (+5). 3. სამხატვრო აკადემია: პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან 17:3; 3 ქულა (—1). 4. პოლიტექნიკური ინსტიტუტი: 3 ქულა (—12). **„ბ“ ქვეჯგუფი.** 1. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი: სამედიცინო ინსტიტუტთან 10:9, „შევარდენი-2“-თან 21:21; 3 ქულა. 2. სამედიცინო ინსტიტუტი: „შევარდენი-2“-თან 25:9; 2 ქულა. 3 „შევარდენი-2“: 1 ქულა.

ფინალური ტურნირი. შეხვედრები ქვეჯგუფებში. „ა“ ქვეჯგუფი. 1. ქუთაისი: სამედიცინო ინსტიტუტთან 9:6, ზოოვეტერინარულ ინსტიტუტთან 6:7, ზესტაფონთან 30:0; 4 ქულა (+32). 2. სამედიცინო ინსტიტუტი: ზოოვეტერინარულ ინსტიტუტთან 11:6, ზესტაფონთან 74:0; 4 ქულა (+76). 3. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი: ზესტაფონთან 51:0; 4 ქულა (+47). 4. ზესტაფონი: 0 ქულა. **„ბ“ ქვეჯგუფი** 1. „სპარტაკი“: „სამთოელთან“ 19:7, უნივერსიტეტთან 9:9, თელავთან — ჩაეთვალა მოგება მეტოქის გამოუცხადებლობის გამო; 5 ქულა. 2. „სამთოელი“: უნივერსიტეტთან 8:7, თელავთან 32:0; 4 ქულა. 3. უნივერსიტეტი: თელავთან 36:3; 3 ქულა. 4. თელავი: 1 საჭარმო ქულა გამოუცხადებლობისათვის.

ᲜᲝᲠᲩᲗᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ...

სპორტის დამსახურებული ოსტატის გივი ჩოხელის სახელობის ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი თელავში 1967 წლიდან ტარდება. შეჯიბრებაში რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-X კლასების ბიჭები გუნდები მონაწილეობენ. ჩოხელის თასი ზედიზედ სამჯერ მოიპოვა თელავის III საშუალო სკოლის გუნდმა და იგი მისი საკუთრება გახდა. მეორე თასმა თელავის IV სკოლაში დაიდო ბინა. 1979 წელს გივი ჩოხელმა მშობლიური ქალაქის მოზარდებს მოვერცხლილი თასი აჩუქა, რომელიც უკვე შვიდი წელია თამაშდება. ამ თასისათვის წელს 25 გუნდმა იბრძოლა. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ტურნირი საიუბილეო, რიგით მეოცე იყო, თავიანთ ზონებში გაიმარჯვეს თელავის IV, წინანდლის, ფშაველის და ვარდისუბნის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. ნახევარფინალში თელავის IV სკოლის ფეხბურთელებმა დაამარცხეს წინანდლელები, ვარდისუბნელებმა ფშაველებს ა.ჯობეს. 17 ნოემბერს თელავის „კახეთის“ სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის სპორტის მუშაკები, ნორჩი გულშემატკივრები, ფეხბურთის მოყვარულები. მართალია, ვარდისუბნელები ანგარიშით 0:4 დამარცხდნენ, მაგრამ ისინი გამარჯვებულებზე ნაკლებად როდი შეაქეს. მათ გუნდში ყველა მეცხრეკლასელი იყო, მაშინ, როცა თელავის IV სკოლის ნაკრების ღირსებას მეათეკლასელები იცავდნენ. გამარჯვებულ გუნდს საპატიო პრიზის მიღება მოეწყოცეს გულშემატკივრებმა. ფინალის მონაწილე ორივე გუნდის წევრები საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲐᲞᲝᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ. ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.

„ᲗᲝᲨᲘᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲚᲑᲐᲜᲔᲜ, ᲫᲐᲜᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲠᲗᲔᲚᲘᲡᲐ“

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ლობის გაუმჯობესება გამაჯანსაღებელი ფიზკულტურით გვსურდა, ერთმანეთის გაცნობის შემდეგ ჩვენ-ჩვენი საფიქრალი გავუზიარეთ ერთმანეთს, რჩევა-დარიგებებიც მივეცით. ზოგმა სუფთა ჰაერზე ვარჯიში არჩია, ზოგმა — სირბილი და ზოგმაც — ცურვა. 21 კაცმა გადავწყვიტეთ მთელი წლის განმავლობაში გვეცურავა. „მორეებმა“ შეგვაგულიანეს. ვიცოდით, რომ ჩვენშიც — თბილისში და შავი ზღვის სანაპიროზეც არიან ამ სახეობის მოყვარულები. ერთი სიტყვით, გავბედეთ და ჩამოვაყალიბეთ სპორტული კლუბი „ივერია“, მაგრამ, ვიდრე სპორტსაზოგადოება „სპარტაკმა“ არ შეგვიყვანა, ენთუზიაზმი გვასულდგმულებდა. ახლა სპარტაკელთა დახმარებით ბევრ შეჯიბრებებსაც ვატარებთ. ისინი სპორტული ფორმითა და მეთოდიკური ლიტერატურითაც გვამარაგებენ. სხვა არავინ გვეხმარება. არადა, ისეთ სპეციფიკურ ჯგუფს, როგორიც ჩვენია, ცოტა მეტი ყურადღება სჭირდება. განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ — გასახდელზე, საშხაპესა და სამედიცინო ოთახზე მოგახსენებთ. თუ ნებას დაგვრთავენ და მასალით მოგვამარაგებენ, მზად ვართ თვითონ ავიშენოთ „თავშესაფარი“. შენობა თუ გვეღირსა, მერწმუნეთ, ბევრს ავიყოლიებთ და საბობინენტო ჯგუფებსაც გავხსნით. განა ცოტაა ჩვენს ქალაქში ჯანმრთელობის გაჯაჭვების მსურველი? მოსკოვში და სხვა ქალაქებში ზამთრის ცურვით ბევრ ავადმყოფობას კურნავენ. ზოგიერთი ექიმის აზრით, ზამთარში ცურვა ეფექტური საშუალებაა ნარკომანთა განსაკურნავად, მათი დაძაბუნებული სხეულის გამოსაცოცხლებლად. ეკონომიურ ეფექტს აღარ იკითხავთ? „ზღვის ლომებს“ წლების განმავლობაში არ სჭირდებათ საავადმყოფო ფურცელი — ზამთარს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მომზადებული ხვდებიან, აქტიურ ცხოვრებას ეწევიან და ნაყოფიერადაც მუშაობენ.

ბოლოს აი, რა მინდა ვთქვა: ბევრისგან მსმენია, როდის იყო საქართველოში ზამთარში ცურვა ეყვარდათ, ჩრდილოეთის ხალხი ხომ არა ვართ, ჩემის აზრით, ასე მსჯელობა სწორი არ არის და, აი, რატომ: ჯერ ერთი, ძალიან „გაჯანაზდით“ და გასაკვებლად ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, მეორეც, საქართველოში, ისე როგორც ჩრდილოეთში, ძველად კარგად იცოდნენ ციე წყალთან „მეგობრობის“ ფასი. ამას წინათ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა წავიკითხე „მნათობში“. მწერალს ჩვენი ზეპირსიტყვიერებიდან ერთი ძველი ბრძნული გამონათქვამი აუღია: „თოშიან წყალში გალბანენ, ჯანი ექნება მრთელიო“. ბრძენი წინაპრები გვყავდნენ. მათ დარიგებას უნდა მივსდიოთ.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲕᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ.

● ჭადრაკი

...წრაფვა წარმატებისკენ

...დასასრული

...ლოვია) — 4,5, გ. ზაიჩიკი — 4, ...არხპოვი, ნ. მაკდონალდი (ინ...ლია), ტ. კაროლი (უნგრეთი)— ...3, ო. ფოშორი (რუმინეთი)— ...5, ბ. გურგენიძე — 2, ა. პეკა...ევი (ჩეხოსლოვაკია) — 1.

* * *

...მემორიალი დასასრულს მიუა...ლოვდა. გასამართავი დარჩა ექ...ი ტური. უკვე ჩანს ვის შეუძ...ია მოიპოვოს პირველი ჯილდო, ...პრიზო ადგილები, ვინ შეასრუ...ებს საერთაშორისო დიდოსტა...ის და ოსტატის ნორმატივს.

...ბოლო სამი შეხვედრის მოგების ...მდეგ ტალი ერთპიროვნული ლი...ერი გახდა. საინტერესოდ წარი...ართა მისი პარტია კაროლისთან. ...ალაზრდა უნგრელმა ოსტატმა ...ებიუტშივე გაბედულად შესწირა ...ეგურა ტალს და უკიდურესობა...დე გაამძაფრა თამაში, მაგრამ ...ლომდე ვეღარ გამოიყენა თავი...ი შანსი. აი, ეს პარტია:

...ტალი — ტ. კაროლი

...ტის დებიუტი

1. მf3 d5 2. d4 c5 3. c4 dc 4. ...5 მf6 5. მc3 e6 6. e4 მ:e4 7. მ:e4 ed 8. ქg5 ლa5+ 9. მc3 ქe6 10. ქd2 ლd8 11. მg5 მc6 12. ქe2 ქe7 13. მ:e6 fe 14. ქh5+ gხ 15. ქg4 მgf7 16. 0—0 ქf6 17. ეe1 ეe8 18. ლf3 მd4 19. ლd1 b5 20. მe2 a5 21. მ:d4 cd 22. ლf3 ლd6? 23. ქg5 ლd8 24. ე:e6! ე:e6 25. ქ:e6+ მgხ7 (თუ 25. ...მg:e6, მაშინ 26. ეe1+ მgf7 27. ქ:f6 ლ:f6 28. ლ:d5+ და 29. ლ:a8) 26. ქ:d5 ეa6 27. ქ:f6+ ლ:f6 28. ლ:f6+ მg:f6 29. b3 c3 30. ქe4 b4 31. ქc2 მgხ5 32. ეe1+ მgხ6 33. მgf1 ეa7 34. ეe4 მgხ5 35. მgხ2. შავები დანებდნენ.

წინ მიიწევენ რომანიშინი და აზმაიფარაშვილი. ლვოველ დიდოსტატს საპრიზო ადგილზე აქვს პრეტენზია, ქართველ მოჭადრაკეს კი უპირველეს ყოვლისა, დიდოსტატის ბალის ნორმატივის (9,5 ქულა) შესრულება სურს. ამ თვალსაზრისით აზმაიფარაშვილისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზაიჩიკთან შეხვედრას. ზურაბმა ჩინებულად ითამაშა და მეტად საჭირო ქულა მოიპოვა.

გთავაზობთ ამ პარტიის ფინალს:

გ. ზაიჩიკი



ზ. აზმაიფარაშვილი

32. ...ე:d6 33. მ:d6 ე:d6 34. ე:d6+ მg:d6 35. მgf1 მd7 36. h4 ქf6 37. ეd1+ მgc6 38. ქg3 ქd4 39. ეe1 gh 40. ეe6+ მgხ5 41. ab ab 42. ქ:h4 c4 43. ეd6 c3 44. მge2 მc5 45. ქf6 ქ:f6 46. ე:ჯ6. შავები დანებდნენ.

დიდოსტატის ბალის მისაღებად იბრძვიან აგრეთვე მალანიუკი და უბილავა. მალანიუკმა მშვიდობიანად განვლო „საშიში ზონა“ — ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ტალთან, აზმაიფარაშვილთან, უბილავასთან და პეკარევს მოუგო. უბილავამ პარტია ზაიჩიკთან თერთმეტსაათიანი ბრძოლის შემდეგ მოიგო. ასე უშეღავათოდ უნდა იბრძოლოს მან დარჩენილ ტურებშიც.

ფრუნზელ კანცლერს უკვე შეიძლება მივულოცოთ საერთაშორისო ოსტატის წოდება. მას მხოლოდ ქულა სჭირდება ნორმატივის (7 ქულა) შესასრულებლად, რასაც ალბათ ადვილად მიაღწევს.

ამ მემორიალზე უცხოელი ოსტატებიდან მხოლოდ იუგოსლავიელი ცვიტანი უწევს ღირსეულ მეტოქეობას ჩვენს მოჭადრაკეებს. მას არც ერთი პარტია არ წაუგია (ერთი მოგება, შვიდი ყაიმი).

ფინიშზე ლიდერთა შეხვედრები საინტერესო ბრძოლებს გვპირდება.

თენგიზ გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

გუშინ ვ. გოგლიძის მემორიალზე გაიმართა ტურის შეხვედრები. ფოშორმა მოუგო არხიპოვს, გურგენიძემ — მაკდონალდს. ყაიმით დამთავრდა კანცლერ — ტალის, კაიდანოვ — კაროლის, მალანიუკ — ზაიჩიკის პარტიები.

● შაში

კიდევ ერთი ეკუთვნილი ადგილი

მინსკში ...ბრძოლება მსოფლიო ჩემპიონის ...ანლისთვის ...ტჩი ასპრეზთან შაშში მსოფლიო ჩემპიონ ელენა ალტუშულსა და პრეტენდენტ ზოია სადოვსკაიას (ორივე — მინსკი) შორის.

8 პარტიის შემდეგ ლიდერობს სადოვსკაია — 5,5:2,5. VIII პარტიაში ალტუშულს გამორჩა მეტოქის ლამაზი კომბინაცია და უარეს პოზიციაში აღმოჩნდა. სადოვსკაიამ კარგად მოახდინა უპირატესობის რეალიზაცია და გაიმარჯვა.

დარჩენილ ოთხ პარტიაში ზოია სადოვსკაიას ერთი ქულაც ჰყოფნის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

დაწინაურდა ექსჩემპიონი

ტალინში 64-უჯრიან შაშში გამართულ სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში 5 ტურის შემდეგ დაწინაურდა სსრ კავშირის ექსჩემპიონი ა. შვარცმანი (მოსკოვი) — 10,5 ქულა. ერთით ნაკლები ქულა აქვს ბაქოელ დიდოსტატ ვ. გაბრიელიანს.

შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა.

თქვენი ჯერია, ცსკა და „გურია“...

...ოლულ, მარათონულ ტურნირში ...ელესი ლიგის საგზურები მოიპოვეს ცსკა-მ და „გურიამ“. გა...„სოვეტსკი სპორტის“ კორე...დენტი ე. ლიპოვეცკი შეხ...ა ამ კლუბების მწვრთნელებს ...ესაუბრა მათ. გთავაზობთ ლა...თის „გურიის“ უფროსი მწვ...ელის ბეჭი სიხარულიძის ნა...ბს.

● თქვენი აზრით, რამ შეუწყო ...ი თქვენი გუნდის წარმატებას ...ტურნირში?

— ჩვენ რატომღაც არ გვთვლი...ა უმაღლესი ლიგის საგზურე...ს სერიოზულ პრეტენდენტებად. ...ჩვენ არ დავზარალებულვ...ართ, მაგრამ, გასაკვირი ისაა, ...ა აზრი არც მაშინ შეუცვლი...ია, როცა „გურიამ“ ზედიზედ 18 ...ის განმავლობაში სატურნირო ...ელში მეორე ადგილზე იყო. ...ც თავდაპირველად არც ...ეისახავდით მიზნად ამ ამო...ს, მაგრამ თამაში გამოგვივი...ართომ? ალბათ იმიტომ, რომ ...ნისთვის განსაკუთრებულად ...ალებოდით, გარდა ამისა, ...ს მოხერხდა შემადგენლობის ...ლიზება — მინდორზე სულ ...თამაშე გამოვიდა. კარგად ...ყენენ ერთმანეთს გამოცდი...ფხბურთელები და ახალგაზ...ბი. მიუხედავად იმისა, რომ ...ი გუნდი რაიონული ცენტრ...პირველი წარმომადგენელია უმაღლეს ლიგაში, ბევრ ფეხბურთელს უკვე აქვს ამ ლიგაში თამაშის გამოცდილება. კოპალეიშვილმა, შველიანმა, იმნაძემ, მელიქიამ, დანელიამ, ტყებუჩავამ, ფრიდონიშვილმა, ახალგაზრდა მოთამაშეები გამარჯვებისათვის განაწყვეს, პატივმოყვარეობა გაუღვიძეს, აღაგზნეს და საბრძოლველად შემართეს. აქვე უნდა ითქვას, რომ გულმოდგინე მშრომელობამაც გაგვამხნევა.

● როგორია პირველი ლიგის გუნდების ხათამაშო დონე? არიან თუ არა იქ ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ უმაღლესი ლიგის გუნდების გაძლიერება? საჭიროა თუ არა პირველი ლიგის ტურნირში რაიმე საორგანიზაციო ცვლილების შეტანა?

— ამაზე პასუხს მომავალ წელს გავცემთ, როცა უძლიერესი ლიგის გუნდებთან მოვისინჯავთ ძალას, ჯერჯერობით კი დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლია, რომ წამყვანი გუნდები წლიდან წლამდე აუმჯობესებენ თამაშს. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტი მოგება ჩვენ გავქვს, იოლად არც ერთი მატჩი არ მოგვიგია, აუტსაიდერებთანაც კი. უმაღლესი ლიგის საგზურების მაძიებელთა ათამდე გუნდი შეიძლია დავასახელო. რა აკლიათ მათ? უპირველეს ყოვლისა პატივმოყვარეობა და გაბედულება. ბევრი გუნდი უმაღლესი ლიგის კლუბებსაც არ ჩამოუვარდება, ახლა არ იკითხავთ როგორი მწვრთნელები ჰყავთ მათ? ბევრ მათგანს დიდი საქმეები უკეთებია, ვფიქრობ, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“, რომლებსაც წელს არ გაუმართლათ, ღირსეულ მეტოქეებთან მოუწევთ ბრძოლა.

ბევრ გუნდში არიან ისეთი ფეხბურთელები, რომელთა თამაშის ყურებაც მაყურებელს დიდ სიამოვნებას ჰგვრის. მათ შორის დავასახელებდი მილევსკის, შატტს, სტარკოვს „დაუგავიდან“, ლენდელს, კუხლევსკის, მალიშენკოს სკა-„კარპატიდან“, მედვიდს, ბერიოზინს, ტატარჩუკს ცსკა-დან, ნიკიტინს „როტორიდან“, დროჟინს „ლოკომოტივიდან“, მაგრამ, მიაქციეთ ყურადღება, ყველა უმაღლესი ლიგიდანაა მოსული, ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან კი თითო-ოროლა თუ იქცევს ყურადღებას: ვფიქრობთ, ეს იმის ბრალია, რომ ამ გუნდებს არა ჰყავთ დუბლშემადგენლობები, სადაც იზრდებიან და სათამაშო გამოცდილებას იძენენ ახალგაზრდა ფეხბურთელები.

ჩემი აზრით, პირველი ლიგის რეორგანიზაცია საჭირო არ არის. უნდა შევინარჩუნოთ კალენდრის ძველი სტრუქტურა. 24 გუნდი, რა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ 22 — როგორც მომავალ სეზონში იქნება — ოპტიმალურია.

● როგორ აფასებთ თქვენი გუნდის შანსებს უმაღლეს ლიგაში?

— ვფიქრობ, ცოტა გაგვიჭირდება. ჩვენთვის ეს დიდი გამოცდა იქნება. ვეცდებით არ შევრცხვეთ. ჯერჯერობით ჩვენი ამოცანაა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. 1980 წელს ჩვენი რაიონული ცენტრის გუნდი პირველ ლიგაში გადავიდა. არც იქ გვიწინასწარმეტყველებდნენ დიდხანს დარჩენას, მაგრამ ჩვენ მეტის გაკეთება შევძელით. ბოლოს და ბოლოს რაშაზ ურუშაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდა, ლანჩხუთის მკვიდრია. სათასო და ამხანაგურ მატჩებში უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა გუნდს შევხვედრივართ, ასე რომ, თამაშს შევძლებთ.

გასულ სეზონში „გურიამ“ ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა — 86, მაგრამ ბევრიც გაუშვა — 66. ყველაფერი ეს იმის ბრალია, რომ ჩვენი ფეხბურთელები მეტისმეტად ემოციურნი არიან, რასაც გუნდისთვის ხან სარგებლობა მოაქვს, ხან კიდევ არა. ვეცდებით ეს ნაკლიც გამოვასწოროთ და გუნდის სხვადასხვა როლები გავამგაროთ. ვიცით, რომ დიდი გამოცდა გვაქვს ჩასაბარებელი.

მოგესალმებით, „დინამო“!

მოგესალმებით „დინამო“,
მოგესალმებით გულითა,
ფეხბურთის მარშით კი არა,
გურული კრიმანჭულითა.

თქვენ კი რა გიჭირთ ბიჭებო,
ყველას უყვარხართ შვილივით,
ჩვენ კიდევ ვცხოვრობთ ნამდვილად,
გოგია უიშვილივით.

უმაღლეს ლიგას ვეწვიეთ,
გვჯერა, რომ გულით იხარეთ,
შინ ქალამნებით ვთამაშობთ,
ბუცი მოსკოვში ვიხმარეთ.

ამდენ ტანჯვით და წვალებით,
გული რამდენჯერ გაიყო,
ჩვენი შხაპი და აუზი,
პალიასტომის ტბა იყო.

როგორც კაცია მუნჯაძე.
ვდგებოდით ყოველ ალიონს,
ჩაის ვკრეფდით და ვთოხნიდით,
როცა უჭირდა რაიონს.

ჩვენ სეფის გაშლას გვიშლიდნენ;
თუ გინდ გაიგოთ ნამდვილი,
ოციათას კაცს ვაჯენდით,
ათასი გვჭონდა ადგილი.

მინდორზე რა მოგახსენოთ,
უსწორ-მასწორო, დახრილი,
ბალახიც აღარ გვხვდებოდა,
ისე მოძოვდა ნახირი.

მთვარეშიც გვითამაშნია,
ჰკითხეთ: ამბაკოს, სარდიონს,
მართალი გითხრათ პირველად,
ჩვენც ვერ ვაგნებდით სტადიონს.

თხუთმეტი გუნდი უოფილა,
ფაქტი გვახარებს ძალიან,
ცამეტი ჩვენ ვერ მოგვაგნებს,
ორს ქე მოვუგებთ ძამია.

ნაქები ჭუთათურები,
აბა რამ გაახაროხა,
„იგი წავა და სხვა მოვა,
ტურფასა საბაღაროსა“.

არასდროს შეგვირცხვენია,
ქართველი დედის მანდილი,
გვახსოვდა გურამიშვილი,
„ჭერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი“.

ცოტა გავითქვით სახელი,
გავცდით მამულის ნაპირებს,
ხიზმარს თუ დაეჯერება,
უეფა-ს თასზეც ვაპირებთ.

თამაში სუფთა ქართული,
ჩვენ შერკინება გვწუხრია,
ა... ბურთი, ა... მოედანი,
მოდის ლანჩხუთის „გურია“.

ლანჩხუთის „გურიას“ დავალებით
— ავთანდილ გოშტიძე.

● ფეხბურთი

UEFA

ევროპის საკლუბო ტურნირები

10 დეკემბრის ოლოდინში

...თხუთმეტ გაიმართა უეფა-ს ...გათამაშების შერვედფინა...ეტაპის პირველი შეხვედ...ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ...ულა უყიდადება რა თქმა ...სკოვის „სპარტაკის“ და ...ის „სვაროვსკი-ტიროლის“ ...დრისკენ იყო მიპყრობილი. ...ელებმა, მიუხედავად დი...ტერიტორიული უპირატესო...მხოლოდ ერთხელ აიღეს ...ის კარი (რუდაკოვი) და ...ალური უპირატესობით გაი...ეს. „სპარტაკს“ არაერთხელ ...ს გოლის გატანის შესაძლე...ი, რომელთაგან ყველაზე რე...ი იყო 41-ე წუთზე შექმნი...მაგრამ ნოვაკოვმა ვერ გამო...11-მეტრიანი დარტყმა. 1:0 ...ების საშუალებას არ იძ...მაგრამ... თუმცა, დაველო...10. დეკემბერს.

...შეხვედრა სტუმართა გა...ით დამთავრდა. ყველაზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვა ესპანეთის „ბარსელონამ“, რომელმაც რობერტოსა და უელსელი ჰიუზის მიერ სამი წუთის განმავლობაში გატანილი ორი გოლით დაამარცხა მასპინძელი, იურდინგენის „ბაიერი“ — 2:0. პრაღაში, მილანის „ინტერნაციონალეს“ კაპიტნის ალტობელის მიერ მე-18 წუთზე „დუკლას“ კარში გატანილმა გოლმა იტალიელებს მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა. ასევე 1:0 დამთავრდა ბელგიის „გენტისა“ და შვეციის „გიოტებორგის“ შეხვედრა. ამ მატჩში თავი ვამოიჩინა „გიოტებორგის“ მოთამაშე სანტანენმა.

ფრედ მხოლოდ ერთი მატჩი დამთავრდა. 1:1, ასეთია „გლაზგო რეინჯერსისა“ და მაინჰენგლადბახის „ბორუსიის“ შეხვედრის შედეგი. მასპინძლები, შოტლანდიელი ფეხბურთელები უკვე მე-14 წუთზე დაწინაურდნენ (დეურანტი), მაგრამ რანმა პირველივე ტაიმში შეძლო საპასუხო გოლის გატანა. და ეს თანაფარდობა თამაშის ბოლომდე არ დარღვეულა — 1:1.

დანარჩენ შეხვედრებში უპირატესობას მასპინძლებმა მიაღწიეს. „დანდი იუნაიტედმა“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა სპლიტის „ჰაიდუკი“ (მაკკინლი და კლარკი), ჰოლანდიის „გრონინგენმა“ მოუგო პორტუგალიის „გიმარაეშს“ — 1:0 (დე კოკ), იტალიის „ტორინომ“ — ბელგიის „ბევერენს“ — 2:1.

ერთი სიტყვით, ყველა შეხვედრამ დაძაბულ, მეტწილად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. სავარაუდებელია, რომ 10 დეკემბერს დანიშნული საპასუხო მატჩებიც ასეთსავე უკომპრომისო ბრძოლაში ჩაივლის.

უეფა-ს თასი

მერვედფინალი, I ტური

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „სვაროვსკი-ტიროლი“ (ავსტრია) 1:0.
„დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია) — „ინტერნაციონალე“ (იტალია) 0:1.
„ბაიერი“ (იურდინგენი, გფრ) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 0:2.
„გრონინგენი“ (ჰოლანდია) — „გიმარაეში“ (პორტუგალია) 1:0.
„გენტი“ (ბელგია) — „გიოტებორგი“ (შვეცია) 0:1.
„ტორინო“ (იტალია) — „ბევერენი“ (ბელგია) 2:1.
„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ) — 1:1.
„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — 2:0.

ეკა ზეთურიძე და დიმიტრი ვოროზბიოვი

კრასნოიარსკი. „ენისეის“ სპორტის სასახლეში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის 70 უძლიერესი ტანმოვარჯიშე. ისინი 31 ქალაქს წარმოადგენენ. მოასპარეზე ვაჟთა საშუალო ასაკი 21 წელია, ქალთა — 15 წელზე ოდნავ მეტი.

ჩემპიონატის სიმძაფრესა და დაძაბულობას სწორედ ეს ფაქტი გაანაირობებს. ნორჩებს ჯერ არა აქვთ შიშის გრძნობა და ვარჯიშებში ურთულეს ელემენტებს რთავენ. ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე დიტიატინის აზრით (რომელიც აქ სამსაჯოდაა ჩამოსული), ახალგაზრდა სპორტსმენთა ვარჯიშები გამოირჩევა გაბედულებით და სავსებით შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს.

ქალთა ტურნირის პირველ დღეს (სავალდებულო ვარჯიშები) ორი ლიდერი გამოიკვეთა: 18 წლის თბილისელი ეკა ზეთურიძე და მოგილიოველი მოსწავლე 14 წლის სვეტლანა ბაიტოვა. მათ დიდხანს ერთნაირი შედეგი ჰქონდათ, მაგრამ ბოლო იარაღზე უფრო გამოცდილი ეკა ზეთურიძე დაწინაურდა, რომელმაც შეჯიბრების პირველი ნახევარი ერთპიროვნული ლიდერის როლში დაამთავრა — 38,075 ქულა. ბაიტოვას ჯერჯერობით მეორე შედეგი აქვს — 37,95 ქულა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ მესამე ადგილს ერთბაშად ორი სპორტსმენი იყოფს: კრასნოიარსკელი ტატიანა გორდიენკო და ვორონეჟელი ტატიანა ტუჟიკოვა — 37,775 ქულა თითოეულს.

ვაჟთა შორის დაწინაურდა როსტოველი დიმიტრი ვოროზბიოვი — 57, 15 ქულა. მას 0,35 ქულით ჩამორჩება ერევნელი ედუარდ გევორკიანი. მესამე შედეგი, ისევე როგორც ქალებთან, ორ ტანმოვარჯიშეს აქვს — ალექსანდრე ტიხონკინს (ლენინსკ-კუზნეცკი) და ანდრეი რიდეცკის (მოსკოვის ოლქი) — 56,30 ქულა თითოეულს.

გუშინ ჩატარდა შეჯიბრება ნებისმიერი პროგრამით. ახალი ჩემპიონების ვინაობა გაირკვევა 30 ნოემბერს.

ასპარეზობენ ნორჩები

ლენინგრადში დამთავრდა იუნიორთა პირადი საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც 1971-1972 წლებში დაბადებული 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირზე ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგინეს ხებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ მოჭიდავეებმა. ოქროს მედალი მოიპოვა ზვიად ხაბეიშვილმა (52 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), მიხეილ ოქრიაშვილმა (60 კილოგრამამდე) მესამე ადგილი დაიკავა.

* * *

სხვადასხვა ღირსების ორი მედალი მოიპოვეს ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა — ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ წევრებმა 1970-1971 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა კავშირო ტურნირზე. 61 კილოგრამამდე წონის კატეგორიაში ვაჟა ხარკოველმა საერთაშორისო დიდოსტატმა მიხეილ გურევიჩმა II ადგილზე გავიდა საერთაშორისო ოსტატი ელმარ მაგერამბა (ბაქო) — 6,5, მესამეზე — საერთაშორისო ოსტატი ლეონიდ ასინი (ლენინგრადი) — 6.

ამიერიდან ეს ტურნირი ტრადიციული გახდება — ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება.

ქართველი ძიუდოისტი კონსტანტინე იმედაძე, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა 68 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, 1968-1970 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საშუალო ტურნირის ყველაზე ტექნიკურ სპორტსმენად აღიარეს. საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ზენიტის სპორტსმენებისაგან იყო შეკრებილი, სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მედლების მფლობელები გახდნენ გოჩა ქაზიევი (71 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), კახა ბერა კირვალიძე (81 კილოგრამამდე) და როინ ღირსიაშვილი (85 კილოგრამამდე).

(საქინფორმი)

ინფორმაცია

მექსიკო. მრავალდღიანი ველოსიპედის ბოლოს მეექვსე ეტაპი ვილნიუსიდან ლმა ვაცლავას გუმულიაუსკასმა გაიმარჯვა. იგო. 155 კილომეტრი მან 3:45.09 ში დაფარა. მომდევნო მეშვიდე ეტაპზე (160 კმ) უძლიერესი შეკ ქალი მიგუელ მორეირა იყო — 09.14. შვიდი ეტაპის შემდეგ ლიდერობას საერთო ჩათვლაში შეინარჩუნებლი ფელიპე ენრიკესი ინარჩუნებს. გუნდურ ბრძოლაში კოლუმბიელები დაწინაურდა.

ბრიუსელი. ველოსიპედისტების საერთაშორისო კონგრესზე (უნიონი), რომელიც ბელგიის დედაქალაქში ჩატარდა, 24 მსოფლიო რეკორდი დამტკიცეს. მათგან სამი ლენინის (10, 20 კმ და ერთსაათიან რბოლაში), ერთი — აშშბაბადველადმერ სულთანოვს (გიტი 1 ლომეტრზე).

გაიმარჯვა სტუმარ

ბაქოში დაშთავრდა აზერბაიჯანის საერთაშორისო საშალო ტურნირი.

10-დან 7 ქულით I ადგილი იკავა ხარკოველმა საერთაშორისო დიდოსტატმა მიხეილ გურევიჩმა, II ადგილზე გავიდა საერთაშორისო ოსტატი ელმარ მაგერამბა (ბაქო) — 6,5, მესამეზე — საერთაშორისო ოსტატი ლეონიდ ასინი (ლენინგრადი) — 6.

ამიერიდან ეს ტურნირი ტრადიციული გახდება — ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება.

„სპორტლოტ

მოსკოვში მოეწყო „სპორტოტოს“ მორიგი, 47-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 45“-დან: (კლასიკური ჰიდაობა), 20 (ფრისტილური სნობა), 22 (წყალში ხტომა), 31 (ძალოსნობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 37 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: (საგზატკეცილო ველოსიპედო), 26 (თანამედროვე ხუთი), 27 (მშვილდოსნობა), (ფიგურული ციგურაობა).

ეკრანზე და ეთერ

ცენტრალური ტელევიზია

ნოემბერი. დილის ტანვარჯიში **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში **9.30 (2);** სპორტული პროგრამა სსრ კავშირის ჩემპიონატი სხვადასხვა სპორტის სახეობებში. მეეების აწევაში (კლაიპედა) და გადაცემა — ეს გეისბოლელები **16.30 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (კიევი), სკოვი) — „დინამო“ (კიევი), რველი ტაიმი — **19.00 (2),** მეორე ტაიმი — **20.00 (1);** ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი წყალბურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „შპანდაუ“ (დასავლეთ ბერლინი) — **23.55.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილა

„ნიკოლა-თევზის“ მემკვიდრეები

ფრჩხილებს აქვე გავხსნით: XIV საუკუნეში სიცილიაში ცხოვრობდა ვინმე ნიკოლა, რომელიც შესანიშნავად ცურავდა და ყვინთავდა. იგზუიტ ათანასე კირხერის ცნობით, ნიკოლა თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს წყალში ატარებდა და ამის გამო მას „ნიკოლა-თევზი“ შეარქვეს.

„ნიკოლა-თევზის“ მსგავსი ადამიანები, კერძოდ მარგალიტების მაძიებლები, ტექნიკური საშუალებების გარეშე 30 მეტრამდე ყვინთავდნენ. მერე, როცა ბატისკაფი, წყალქვეშა ნავი და აკვალანგი გამოგონეს, ტექნიკური საშუალებებით ყვინთვა თითქოს დავიწყებას უნდა მისცემოდა, მაგრამ ადამიანმა მაინც არ მოისვენა და მეტი შეუპოვრობით გააგრძელა „შეუიარაღებლად“ ყვინთვა. ამ მხრივ ყველაზე შორს სიცილიელის თანამემამულენი წავიდნენ. სწორედ იტალიელებმა შეუტიეს ცირველებმა სიღრმეზე ყვინთვის რეკორდებს.

1959 წელს შექმნილმა წყალქვეშა კურვის მსოფლიო კონფედერაციამ (კმასი) თავის პირველსავე სხდომაზე დაამტკიცა და მსოფლიო რეკორდად აღიარა 1949 წელს იტალიელი რაიმონდ ბეკერის მიერ ნეაპოლის ყურეში ნაჩვენები შედეგი — 30 მეტრი.

დღევანდელი რეკორდით თუ დავინტერესდებით, ვნახავთ, რომ სხვადასხვა ცნობების მიხედვით მიღწევადაც სხვადასხვა შედეგი ითვლება და მათი ავტორებიც სხვადასხვა ადამიანები არიან. 101 მ, 90 მ. 40 სმ, 65 მეტრი. რა ხდება, რომელი ინფორმაციაა სწორი? სამივე სწორია! საქმე ისაა, რომ სამივე რეკორდი სხვადასხვაგვარადაა დამყარებული, მთავარი ისაა, რომ სამივე რეკორდსშენი ჩაყვინთვისას არანაირ სასუნთქ აპარატს არ იყენებდა.

მოდით, ჯერ ყველაზე „ღრმა“ რეკორდისკენ მიმავალ გზას გადავხედოთ. რაიმონდ ბეკერის რეკორდის დამყარებიდან ათი წლის შემდეგ სარბიელზე გამოჩნდა მსოფლიოში ყველაზე „ღრმა წყლის კაცი“ — სიცილიელი ენცო მაიორკი. 1961 წელს სირაკუზის აუურეში ენცომ ერთბაშად 19 მეტრით გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. ამის მერე ამ საოცარმა მყვინთავმა ზედიზედ ცხრაჯერ დაამყარა რეკორდი, 1970 წელს კი უკვე 74 მეტრზე ჩაყიდა.

იმავე წელს ქვეყანა აალაპარაკა „ადამიანმა დელფინმა“, როგორც თავის თავს უწოდებს სახელგანთქმული ფრანგი ჟაკ მაიოლი. მან ტოკიოს აუურეში 76 მეტრზე ჩაყვინთა, მაგრამ მომდევნო — 1971 წელს კვლავ ენცო მაიორკმა იმარჯვა — 77 მეტრი. ერთი წლის მერე, კუნძულ სიცილიაზე, კატანიის მახლობლად მდებარე ონინის აურეში ენცომ კვლავ გაუმჯობესა რეკორდი — 78 მეტრი. ეს შედეგი მსოფლიო პრესამ ზედმიწევნით ნათლად აღიარა. მაიორკმა უკანასკნელ ნიშნულს წუთისა და 14 წამის მერე მიაღწია. წნევისაგან აურებში საშინელ, აუტანელ ტკივილს გრძნობდა. ნებისყოფა დაძაბა, წყალში ჩაშვებული თეთრი თოკიდან ამოაძრო ამავე ფერის ლენტი, რომელზეც „78“ ეწერა, საცურაო კოსტიუმში ჩაიდო და ამოსვლა დაიწყო. ამოყვინთვას კიდევ წუთი და 11 წამი დასჭირდა. წყლის ზედაპირამდე 3 მეტრი რჩებოდა, როცა წნევის შემცირების გამო რამდენიმე წამით გრძნობა დაკარგა და გემბანზე გამცილებელმა აკვალანგისტებმა აიყვანეს.

მაიორკს რეკორდის დამყარებისას ნეოპრენის კოსტიუმი ეცვა, სახეზე ნიღაბი ჰქონდა, ფეხებზე ფარფლები ეკეთა, და კიდევ —25-კილოგრამიანი ბალასტი.

ენცო მაიორკის რეკორდს დღეგრძელობა უწინასწარმეტყველეს. ბევრი იმასაც ფიქრობდა, 78 მეტრი ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარიაო, მაგრამ გავიდა ოთხიოდე წელი და ენცოს რეკორდის გაუმჯობესება კვლავ ჟაკ მაიოლმა განიზრახა. 1976 წელს კუნძულ ელბას მახლობლად მან ფენომენური შედეგი აჩვენა — — 100 მეტრზე ჩავიდა და ჩაყვინთვა-ამოყვინთვას 3 წუთი და 40 წამი მოანდომა.

ამ ისტორიულ გზაზე „ადამიან დელფინს“ 11 აკვალანგისტი, ფოტორეპორტიორი და კინოოპერატორი მიაცილებდა.

მეტის გაკეთება ადამიანის ძალებს აღემატებაო, ამტკიცებდნენ სპეციალისტები, მაგრამ ჟაკ მაიოლი სხვაგვარად ფიქრობდა. 1981 წლის 6 ნოემბერს კვლავ კუნძულ ელბას მახლობლად იგი 101 მეტრზე ჩავიდა და ერთი მეტრით გაუმჯობესა თავისივე რეკორდი — ჩაყვინთვა-ამოყვინთვას 3 წუთი და 10 წამი მოანდომა.

ახლა გავიხსენოთ რა თქვა ცენტრალური ტელევიზიით „კინომოგზაურთა კლუბის“ სტუმარმა ჟაკ მაიოლმა:

— 60 მეტრზე ხელ-ფეხის მოძრაობით როცა ჩავდივარ, წყალქვეშ მხოლოდ 2 წუთსა და 15 წამს ვძლებ. მოძრაობა დიდ ენერგიას მახარჯვინებს, ამიტომ, როცა რეკორდის დამყარებას ვაპირებ, წყალში 32-კილოგრამიანი ბალასტით ვეშვები. სკოლაში გვასწავლეს, რომ დედამიწაზე სიცოცხლე ზღვის სიღრმეში ჩაისახა, ამიტომაა, ალბათ, ჩვენც იქით რომ მიგვიწევს გული. ბავშვი თავისი განვითარების ყველა ეტაპს ჩასახვიდან დაბადებამდე მუცელში, წყალში ატარებს. ამიტომ, თუ ბავშვს წყალში ვავარჯიშებთ, ამფიბია გახდება. დადგება დრო, როცა ჩვენი შვილიშვილები 60-70 მეტრის სიღრმეზე 10 წუთს გაძლებენ. დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანის ფენებში შემორჩენილია ძველისძველი მექანიზმი, რომელიც გაპოუყენებლობის გამო დავიწყებას მიეცა, მაგრამ მისი აღმოჩენა და განვითარება შეიძლება. ყვინთვაში ადამიანმა ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს ზღვაში მობინადრე ნათესავებისაგან და უწინარეს ყოვლისა — დელფინისაგან. და მაინც, მე მგონია, რომ 100 მეტრი ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარია.

საოცარი ისაა, რომ ჟაკ მაიოლი რეკორდის დამყარებისას 55 წლისა იყო.

როგორც ჩანს, ეს ასაკი, მყვინთავებისთვის, ასე ვთქვათ, გაფურჩქვნის ხანაა, რადგან ამ ზაფხულს, კერძოდ, 6 აგვისტოს იტალიის ქალაქ კროტონის სანაპიროდან ოთხი მილის დაშორებით ბედის საცდელად კვლავ გამოჩნდა ენცო მაიორკი — სწორედ ის, მსოფლიოში ყველაზე „ღრმა წყლის კაცი“, რომელიც 55 წლისა გამხდარა.

ათი წლის წინათ მან რეკორდის დამყარების სხვაგვარი მეთოდი ამჯობინა. იგი წყალში ვერტიკალურად დაჭიმულ ტროსზე მიბმული სპეციალური ფოლადის „ციგით“ ჩაეშვა ფსკერისკენ და 87 მეტრსა და 40 სანტიმეტრს მიაღწია, იქიდან კი აკვალანგის დახმარებით ამოვიდა. ეს შედეგი მის მიერ ძველი მეთოდით დამყარებულ რეკორდს თითქმის ათი მეტრით აღემატებოდა. და აი, ათი წლის შემდეგ 55 წლის კაცმა თავისი რეკორდის გაუმჯობესება გადაწყვიტა. მიზნად 90 მეტრზე ჩაყვინთვა დაისახა და წყალში გადაეშვა. ამ მოვლენის რეპორტაჟს იტალიის ტელევიზია გადასცემდა. აქვე იყვნენ ადგილობრივი ხელისუფალნი, იტალიის მყვინთავთა ლიგის წარმომადგენლები და გულშემატკივრები.

ჟაკ მაიოლი და იტალიელი წყალქვეშ ცურვის ინსტრუქტორი ანჯელა ბონდინი, რომელთან ერთად „ადამიანი დელფინი“ წყალქვეშ... ბალეტის დადგმას აპირებს.

ენცო მაიორკი, როცა 30 მეტრს მიაღწია, ცოტა ხნით შეჩერდა, მერე 50-მეტრიან ნიშნულთან „მოითქვა სული“, იქიდან კი 90 მეტრამდე შეუჩერებლად გაგრძელა გზა და დასახულ მიზანს მიაღწია. აქ კიდევ მოიკრიბა ძალა და კიდევ 40 სანტიმეტრით ჩაინაცვლა ქვემოთ.

ახლა 100-მეტრიანი ზღვარის დაძლევად ემზადება. როგორც თვითონ ამბობს, ამისათვის იგი ადრეც მზად იყო, მაგრამ სხვადასხვა გარემოებამ შეუშალა ხელი და დაძლევა სიღრმეს 10 მეტრი ჩამოაკლო.

ენცო მაიორკი რეკორდის დამყარებამდე შეუპოვრად ვარჯიშობდა. დიდ ყურადღებას უთმობდა ფსიქოლოგიურ მომზადებასაც, რაშიც იგი, თავისივე სიტყვებით, შედარებით ჩამორჩება.

— ეს იმით აიხსნება, რომ ფსიქოლოგიური მომზადებისთვის სათანადო მეთოდიკა არ არსებობს, — ამბობს მაიორკი. — ფსიქოლოგიური მომზადება იმას ნიშნავს, რომ შიშის დაძლევა შეგეძლოს, რთულ სიტუაციებში დამაჯერებლად იმოქმედო და საკუთარ თავს აჯობრ. ერთ ხანს იოგთა მეთოდების გამოყენება ვიფიქრე, მაგრამ მალე მივხვდი, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა. იოგი გარე სამყაროს ეთიშება, ზღვაში კი, პირიქით, მთელი ძალების მობილიზება და დაუყოვნებელი მოქმედებისათვის სრული მზადყოფნაა საჭირო. მყვინთავს შეგრძნების უნარი გაფაქიზებული უნდა ჰქონდეს, უველაფერს უნდა განიცდიდეს და ეშინოდეს კიდეც.

მაიორკი დიდხანს წყალქვეშა ნადირობით იყო გატაცებული, მაგრამ ერთხელ, ნადირობისას, დიდი თევზი დაჭრა და დიდხანს ვერ დაიმორჩილა. „ჭიდილში“ შემთხვევით თევზს შეეხო და იგრძნო როგორ ფეთქავდა მისი გული. ის დღე იყო და ის დღე, მას შემდეგ ნადირობას ვეღარ უხსენებთ, მხოლოდ ზღვის სიღრმესთან იბრძვის. ამ საქმეში თავისი ქალიშვილებიც აიყოლია. 20 წლის როსანა და 26 წლის პატრიცია მამასთან ერთად ვარჯიშობენ და ისინიც მსოფლიო რეკორდებს ამყარებენ.

რაკი ქალებზე ჩამოვარდა სიტყვა, მოდით მათ რეკორდებსაც გადავხედოთ.

პირველი რეკორდი, რომელიც კმასმა დაამტკიცა, 25 მეტრი იყო. იგი 25 წლის წინათ იტალიელმა ფრანჩესკა ბორამ დაამყარა. მისი შედეგი გაუმჯობესა მისივე თანამემამულემ, კუნძულ სარდინიის მკვიდრმა ჯულიანა ტრელეანიმ, რომელმაც შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დაამყარა მსოფლიო რეკორდი. მან 1967 წელს 45 მეტრის სიღრმიდან ამოიტანა ფილა.

ჯულიანა 50 მეტრზე ჩაყვინთვას აპირებდა, მაგრამ 1971 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მერე „სცენაზე“ გამოვიდა ენცო მაიორკის უფროსი ქალიშვილი პატრიცია, რომელმაც ჯულიანას საოცნებო სიღრმეს მიაღწია.

როცა ენცო მაიორკი თავისი ბოლო რეკორდის დასამყარებლად ემზადებოდა, მისმა უმცროსმა ქალიშვილმა როსანამ აალაპარაკა ქვეყანა. მან თავისი დის მსოფლიო რეკორდი ზედიზედ სამჯერ გაუმჯობესა და ბოლოს 68 მეტრზე ჩაეშვა.

ჟაკ მაიოლის აზრით, ქალებსაც შეუძლიათ 100 მეტრზეც ჩაყვინთონ. იგი ფიქრობს, რომ ქალის ორგანიზმი მზადაა ამისათვის, რომ სასუნთქი აპარატების გამოუყენებლად მამაკაცზე ღრმადაც ჩავიდეს წყალში.

ახლა რამდენიმე სიტყვით ყველაზე პატარა რეკორდზე, რომელიც არც ჟაკ მაიოლისა და არც ენცო მაიორკის მიღწევებს არ ჩამოუვარდება. ამას წინათ 32 წლის სტეფანო მაკულამ კუნძულ კაპრის მახლობლად 65 მეტრზე ყოველგვარი ბალასტის გარეშე ჩაყვინთა და არც ამოყვინთვისას გამოუყენებია აკვალანგი. ერთადერთი, რაც მას დაეხმარა, ფარფლები იყო.

მაკულამ ორი წლის წინათ მის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი ორი მეტრით გაუმჯობესა. ბოლო რეკორდის დასამყარებლად ორნახევარი თვე ემზადებოდა. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ ამაოდ სცადა ძალა, მესამედ კი მიზანს მიაღწია.

საინტერესოა, რომ სტეფანო მაკულაც „ნიკოლა-თევზის“ თანამემამულეა.

ავთანდილ გურასაშვილი.